NDI-ის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ანგარიში
2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე

თბილისი, 9 ოქტომბერი, 2016

შეჯამება

არჩევნების დღე, რომელიც მშვიდ გარემოში დაიწყო, ძალადობის ცალკეული შემთხვევებით დასრულდა. ქართველი ამომრჩევლის დიდმა ნაწილმა, საუბნო საარჩევნო კომისიის თანამშრომლებმა, პარტიის აქტივისტებმა და კანდიდატებმა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მშვიდობიანი მონაწილეობით დემოკრატიისადმი ერთგულება დაადასტურეს. კონკურენტუნარიანი და მრავალფეროვანი საარჩევნო კამპანიის შემდეგ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, თავისუფალი არჩევანი გაეკეთებინათ და ხმების დათვლა საარჩევნო უბნების დიდ ნაწილში მშვიდად და ორგანიზებულად წარიმართა. თუმცა ზოგიერთ საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესი შეჩერდა ან შეწყდა უმართავი და, ზოგიერთ შემთხვევაში, აგრესიული ჯგუფების გამო. ძალადობას არცერთ არჩევნებზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამ პროცესებმა არაერთი ამომრჩევლისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ დღის პირველ ნახევარში დემოკრატიისთვის გაწეულ შრომას ჩრდილი მიაყენა, თუმცა, ერთი შეხედვით, ამომრჩევლის ნების გამოხატვაზე ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ახლა ხელისუფლებას, საარჩევნო ადმინისტრაციას, პარტიებს, კანდიდატებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს დაძაბულობის განმუხტვის ვალდებულება ეკისრებათ. ყველა მხარემ თავი უნდა შეიკავოს შემდგომი ძალადობისგან. არჩევნების შედეგები, რომელიც სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა დაადასტურეს - მაგალითად, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (სამართლიანი არჩევნები - ISFED) მიერ ჩატარებული ხმების პარალელური დათვლის (PVT) გზით - აღიარებული უნდა იყოს. პოლიტიკურმა პარტიებმა ყველა საჩივარი და დარღვევა დოკუმენტურად უნდა ასახონ და ამ საჩივრების განსახილველად არსებული სამართლებრივი მექანიზმები უნდა გამოიყენონ. ცესკომ დაუყოვნებლივი რეაგირება უნდა მოახდინოს დარღვევებზე და

ხმის დათვლის პროცესის ხელის შეშლაზე, რათა დაადგინოს, სად არის საჭირო განმეორებითი დათვლა ან განმეორებითი არჩევნების ჩატარება, განსაკუთრებით იმ მაჟორიტარულ ოლქებში, სადაც ამან შეიძლება, არჩევნების საბოლოო შედეგებზე მოახდინოს გავლენა. შესაბამისმა პასუხისმგებელმა ორგანოებმა სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ და უპასუხონ ლეგიტიმურ პრობლემებს. ამავდროულად, ყველა პოლიტიკური პარტიის პროგრესული ლიდერი უნდა შეიკრიბოს, რათა ქვეყნის განვითარების სამომავლო გზაზე შეთანხმდნენ.

საქართველოში ამ თვის ბოლოს არჩევნების მეორე ტური გაიმართება. ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში ადგილობრივი და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ამ პროცესების მიმდინარეობა დამოკიდებული იქნება 8 ოქტომბრის არჩევნების ლეგიტიმური შედეგების აღიარებასა და დავების მშვიდობიან მოგვარებაზე. ახალი პარლამენტის საბოლოო შემადგენლობის მიუხედავად, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად, უმრავლესობას პარტიული კუთვნილების მიღმა მოუწევს მოქმედება, რათა თითოეული მოქალაქის, მათ შორის - სხვა პარტიების ამომრჩევლების, ინტერესები წარმოადგინოს.

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო დელეგაციის მიერ, რომელშიც წარმოდგენილნი არიან დამკვირვებლები 11 სხვადასხვა ქვეყნიდან. დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ: სემ გედჯენსონი, აშშ-ის კონგრესის ყოფილი წევრი კონეკტიკუტის შტატიდან; ტედ კაუფმანი, აშშ-ის ყოფილი სენატორი დელავერის შტატიდან; იანუშ ონიშკევიჩი, ევროპარლამენტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და პოლონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი; და ანემი ნეიტს-უტებროკი, ბელგიის სახელწიფო მინისტრი და ევროპარლამენტის ყოფილი წევრი.

ამ ეტაპზე დელეგაციის მიზანს 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საბოლოო დასკვნების გაკეთება არ წარმოადგენს. შედეგების ოფიციალური დათვლისა და გამოცხადების პროცესი 9 ოქტომბრის შუადღის მონაცემებით ჯერ არ არის დასრულებული. ასევე, სავარაუდოდ, მრავალ ოლქში არჩევნების მეორე ტური დაინიშნება; ამასთანავე, ნებისმიერი შესაძლო საჩივარი სათანადოდ უნდა გადაწყდეს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიში წინასწარ შეფასებას წარმოადგენს. NDI გააგრძელებს საარჩევნო პროცესის მონიტორინგს არჩევნების მეორე ტურის ჩათვლით და შესაბამისად წარადგენს შემდგომ ანგარიშებს. NDI არ ერევა საარჩევნო პროცესებში და აღიარებს საქართველოს მოქალაქეების როლს, თავად გადაწყვიტონ არჩევნების სანდოობა და ლეგიტიმურობა.

პოლიტიკური კონტექსტი

საქართველოს ბევრი დემოკრატიული მიღწევით შეუძლია იამაყოს. პლურალიზმი პოლიტიკური და სამოქალაქო გარემოს დამკვიდრებული ნორმაა. ფუნდამენტური თავისუფლებები, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, დიდწილად დაცულია. მედია გარემო პოლარიზებული, თუმცა რეგიონში ყველაზე თავისუფალი და მრავალფეროვანია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. კონკურენტული, მრავალპარტიული არჩევნები ჩვეულ ნორმას წარმოადგენს. ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს. საქართველოს წარმატება წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრის სფეროში საერთაშორისო მოდელად იქცა. საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი და დასავლელ მეზობლებთან ვიზა ლიბერალიზაციის გზაზე იმყოფება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უჭერს მხარს.

ამავდროულად, ქვეყანას სუვერენული სახელმწიფოს უფლებების დასაცავად და საკუთარი მომავლის განსასაზღვრად, მათ შორის ევრო-ატლანტიკური კურსისთვის, რეგიონში წინა ხაზზე უწევს ბრძოლა. რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპირებას განაგრძობს და, ამასთანავე, სავაჭრო ურთიერთობების, პროპაგანდის, ფულის შემოდინებისა და მუქარის მეშვეობით ზეწოლას ახორციელებს. საქართველოს მოქალაქეები დღემდე ინარჩუნებენ ერთგულებას დამოუკიდებლობის და დემოკრატიის მიმართ. თუმცა ეს პრინციპები ყოველ პოლიტიკურ გზაჯვარედინზე მორიგ გამოცდას გადის. საქართველოს არჩეული კურსის მნიშვნელობა მის საზღვრებს სცდება. დემოკრატიული პროცესების შეფერხებას მთლიანად რეგიონზე ექნება გავლენა.

ქვეყნის შიგნით საქართველოს მოქალაქეებს სუსტი ეკონომიკა და უმუშევრობის მაღალი დონე აწუხებთ. გარკვეულწილად ეს უკმაყოფილება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ახდენს გავლენას. NDI-ის კვლევების თანახმად, მოსახლეობის უმეტესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ პოლიტიკური პარტიები მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებენ. მათი ნდობა პარლამენტის, რიგი სამინისტროებისა და ლიდერების მიმართ დაბალია. ისინი თვლიან, რომ უგულვებელყოფილნი არიან მათი არჩეული წარმომადგენლების მიერ, განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე. საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, ამომრჩევლების დიდ ნაწილს არ ჰქონდა გადაწყვეტილი ვის მისცემდა ხმას, რაც მოსახლეობის მხრიდან მათ წინაშე არსებული არჩევანის მიმართ უკმაყოფილების მაჩვენებელია.

ოქტომბრის არჩევნები მნიშვნელოვანია, რადგან საარჩევნო პროცესი გზავნილია, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე საერთაშორისო

საზოგადოებისთვის, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის შეფასებისთვის. ამასთან საპარლამენტო არჩევნები ნიადაგს მოამზადებს 2017 წლის ადგილობრივი და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. საპარლამენტო არჩევნების შედეგები საქართველოს შემდეგი მოწვევის პარლამენტის შემადგენლობას განსაზღვრავს, რომელიც, თავის მხრივ, მომდევნო მთავრობას დააკომპლექტებს. ახალი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები იქნება გადასაჭრელი, როგორიცაა მოქალაქეების პოლიტიკურ პროცესებში ხელახალი ჩართვა და დემოკრატიული რეფორმებისა და ეკონომიკური ზრდის მიმართ მათი მოლოდინების გამართლება; საგარეო საფრთხეების თავიდან აცილება; და ევროპული კურსის გაგრძელება.

არჩევნების დღე

150 წევრიანი პარლამენტი 4 წლის ვადით შერეული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. პროპორციული სისტემით პარტიული სიიდან 77 დეპუტატი იქნება არჩეული იმ პარტიებიდან, რომლებიც 5 პროცენტიან ბარიერს გადალახავენ; 73 დეპუტატი კი 50 პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებიდან აირჩევა. პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 25-მა საარჩევნო სუბიექტმა, მათ შორის 6-მა საარჩევნო ბლოკმა და 19-მა პოლიტიკურმა პარტიამ. ცესკომ 816 მაჟორიტარობის კანდიდატი დაარეგისტრირა, რომელთაგანაც 143 ქალი და 53 დამოუკიდებელი კანდიდატი იყო.

ამომრჩევლებმა ხმა უმეტესწილად მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში მისცეს. უმეტეწილად საუბნო კომისიის წევრებმა მრავალი საათის მანძილზე დაუღალავად იმუშავეს, რათა საარჩევნო პროცედურები სათანადოდ ორგანიზებული და აღსრულებული ყოფილიყო. არჩევნების დღეს NDI-ის დამკვირვებლებმა მცირედი დარღვევები დააფიქსირეს, თუმცა მთლიანობაში პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ამომრჩეველთა აქტივობა გასულ სამ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით (61.31 პროცენტი 2012 წელს, 53.39 პროცენტი 2008 წელს და 63.39 პროცენტი 2004 წელს) დაბალი იყო და 51.63 პროცენტი შეადგინა. რამდენიმე პატარა ზომის საარჩევნო უბანი გადაიტვირთა, რაც ზოგ შემთხვევაში დაბნეულობას იწვევდა. თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა მთელი დღის მანძილზე ამომრჩეველთა ნაკადის მართვა შეძლეს.

იმ უბნების უმეტესობა, სადაც NDI-მ მონიტორინგი აწარმოა, დროულად, დილის 8 საათზე გაიხსნა. თუმცა ადგილი ჰქონდა მცირე პროცედურულ დარღვევებს, რის შედეგადაც ზოგიერთი უბანი დაგვიანებით გაიხსნა და ხმის მიცემის პროცესის დაგვიანებით დაწყება გამოიწვია. სამართლიანი არჩევნების პარალელური ხმის დათვლის მონაცემებით, უბნების 95%-ზე მეტი დროულად გაიხსნა. NDI-ის დამკვირვებლების მიხედვით, გახსნის პროცედურები უბნების უმრავლესობაში სათანადოდ შესრულდა, რაც სამართლიანი არჩევნების მონიტორინგის შედეგების შესაბამისია. NDI-ის დამკვირვებლებს არავითარი შეფერხება არ ქონიათ უბნების

გახნის პროცესში.

NDI-ის დაკვირვების შედეგად საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის პროცესი მშვიდი და ორგანიზებული იყო. ხმის მიცემის ფარულობა უბნების უმეტესობაზე დაცული იყო და სხვა დამკვირვებლების მიერ დარღვევაზე მითითების შემდეგ დარღვევები დროულად აღმოიფხვრებოდა. ეს დაკვირვება სამართლიანი არჩევნების მონიტორინგის შედეგებმაც ასახა. NDI-ის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩეველთა აქტივობა მაღალი იყო უმცირესობებით დასახლებულ არეალებში. თუმცა მათ ასევე აღნიშნეს, რომ ენობრივი ბარიერი ზოგიერთ რეგიონში კვლავ არსებობს. ცესკომ განაცხადა, რომ 1 115 საარჩევნო უბანი შშმ პირებისთვის ადაპტირებული იყო და ყველა უბანზე ხელმისაწვდომი იყო გამადიდებელი შუშები და ჩარჩო-ფორმა მხედველობა დაქვეითებული ამომრჩევლისთვის. აღნიშნული ადაპტირებული გარემო წინა არჩევნებთან შედარებით გაუმჯობესებულია, რაც მისასალმებელია.

მრავალი საარჩევნო უბნის გარეთ სიტუაცია დაძაბული იყო და ადგილი ჰქონდა ძალის გამოყენების ცალკეულ ინციდენტებს და ამომრჩევლის დაშინების შესაძლო შემთხვევებს. ქვეყნის ბევრ რეგიონში დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნის გარეთ მამაკაცების ორგანიზებული ჯგუფები შენიშნეს, რომლებიც ზოგჯერ ბლოკავდნენ შესასვლელს და აფერხებდნენ ამომრჩევლების შესვლას უბანზე. არჩევნების დღის ბოლოს, ადამიანების ჯგუფი ერთმანეთს მარნეულის საარჩევნო უბანზე დაუპირისპირდა და შენობაში შეჭრას შეეცადა. ჯგუფმა შენობას, სადაც საარჩევნო უბანი იყო განთავსებული, ქვები დაუშინა, პოლიცია კი ჯგუფის გაკონტროლებას ცდილობდა. სამართლიანი არჩევნების თანახმად შევიწროვებისა და დაშინების შემთხვევების რაოდენობა მცირე იყო და ხმის მიცემის პროცესში უბნების მხოლოდ 1 პროცენტზე დაფიქსირდა. ერთი შემთხვევის გარდა, ამას საარჩევნო პროცესებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია.

მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებს აკვირდებოდნენ მთავარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, არაერთი მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ჯგუფი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები. ცესკომ და საოლქო კომისიებმა აკრედიტაცის მისცეს 49 092 პარტიისა და კანდიდატის წარმომადგენელს; 84 მედია ორგანიზაციის 5 368 წარმომადგენელს და დაახლოებით 3 000 მიუკერძოებელ დამკვირვებელს 111 სამოქალაქო ორგანიზაციიდან. ამასთან, აკრედიტაცია მიიღო 54 საერთაშორისო ორგანიზაციის 1 190-მა საერთაშორისო დამკვირვებელმა. მოქალაქეების მიერ პროცესზე დაკვირვება დემოკრატიული პრაქტიკის არსებითი ნაწილია და მნიშვნელოვან საზედამხედველო ფუნქციას, ხმების დაცვის, და საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობის გაზრდის მექანიზმს წარმოადგენს. NDI-ის დამკვირვებლებმა ცალკეულ შემთხვევებში დამკვირვებლების - უმეტესწილად პარტიების წარმომადგენლების - მიერ იმ საარჩევნო პროცესებში ჩარევის ფაქტები დააფიქსირეს, რომელიც, კანონის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებაა.

NDI-ის დელეგატების დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ ხმის დათვლის პროცესი სათანადოდ მიმდინარეობდა, ბევრ უბანზე საუბნო კომისიის წევრებს დახმარებას პარტიის წარმომადგენლები უწევდნენ. ზოგიერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს სათანადო ტრენინგი ან გამოცდილება აკლდათ, რაც პროცესის შეფერხებას იწვევდა. საღამოს საათებში, ზოგიერთ ადგილას სიტუაცია გაუარესდა. ზოგიერთ უბანზე ხმის დათვლის პროცესი შეჩერებულ ან შეწყვეტილ იქნა აქტივისტების მიერ, რომლებიც უბნის გარეთ იმყოფებოდნენ. მათ შორის დაფიქსირდა უბანზე შეჭრის, საარჩევნო ყუთებისა და კერძო ქონების დაზიანების და საერთაშორისო დამკვირვებლების შეურაცხყოფის შემთხვევები. ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ ადგილი ჰქონდა დაპირისპირებებს, რომელიც ნაწილობრივ ურთიერთგამომრიცხავი ეგზიტ პოლების შედეგების გამოქვეყნებამ გამოიწვია. გვიან ღამით დემონსტრაცია გაიმართა ცესკოს შენობის წინ. სამართლიანმა არჩევნებმა ზუგდიდის 3 უბანზე საჩივრები დაწერა და შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე ამ ინციდენტებს ამომრჩევლების ნების გამოხატვაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ცესკოს მიერ წინასწარი შედეგების დაგვიანებით გამოქვეყნებამ (რაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანახმად სამართლებრივი პროცედურის დარღვევას წარმოადგენს), ხმის დათვლის პირდაპირი ტრანსლირების გათიშვამ და ცესკოს ვებ-გვერდთან დაკავშირებულმა პრობლემებმა პროცესის მიმართ ნდობის განმტკიცებას ხელი არ შეუწყო. NDI გააგრძელებს მოვლენების განვითარებისა და ამ მოვლენების საარჩევნო გარემოზე გავლენის მონიტორინგს.

ცესკოს პროპორციული არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით - უბნების დაახლოებით 70%-დან - 9 ოქტომბრის შუადღის მონაცემებით, ქართულმა ოცნებამ ხმების 49.65 პროცენტი მიიღო; ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 26.63 პროცენტი; სხვა პარტიები 5 პროცენტიანი ბარიერის მიღმა დარჩნენ. თუმცა საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა შესაძლოა, ბარიერი გადალახოს, რადგან ხმის დათვლის პროცესი გრძელდება. სამართლიანი არჩევნების პარალელური ხმის დათვლის შედეგები ახლოს არის ცესკოს მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმები მერყეობს 48-დან 50 პროცენტამდე, ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხმები - 25-დან 27 პროცენტამდე. ხმების პარალელური დათვლის თანახმად, საარჩევნო ბარიერთან ახლოს საქართველოს პატრიოტთა ალიანსი და თავისუფალი დემოკრატები არიან, თუმცა საუბარი იმაზე, შეძლებენ თუ არა ისინი ბარიერის გადალახვას, ნაადრევია. მაჟორიტარული არჩევნების შედეგები - რომელიც ჯერ კიდევ უცნობია - პარლამენტის შემადგენლობაზე გავლენას იქონიებს.

ცესკო ჯერ ისევ ითვლის შედეგებს მაჟორიტარული ოლქებიდან. მაღალია ალბათობა, რომ ბევრ ოლქში ვერცერთი კანდიდატი ხმების 50 პროცენტზე მეტს ვერ მიიღებს. ამ შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად არჩევნების მეორე ტური დაინიშნება, რომელიც, სავარაუდოდ, 30 ოქტომბერს გაიმართება. დელეგაციასთან არაერთხელ

აღინიშნა, რომ 8 ოქტომბერი საპარლამენტო არჩევნების მხოლოდ დასაწყისია და არა - დასასრული. პოლიტიკურმა პარტიებმა დოკუმენტურად უნდა ასახონ ყველა საჩივარი და დარღვევა და ამ საჩივრების განსახილველად არსებული სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენონ. სამართლებრივი განხილვა უნდა ჩატარდეს პოლიტიკური ზეწოლის გარეშე, მიუკერძოებლად და დროულად; სადაც საჭიროა უნდა მოხდეს ეფექტიანი რეაგირება, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად. ამ პროცედურებმა შესაძლოა, გავლენა იქონიოს მეორე ტურების რაოდენობაზე ან განმეორებითი არჩევნების რაოდენობაზე. თუმცა ამ ეტაპზე საჩივრების რაოდენობის დათვლა შეუძლებელია. NDI ამ საკითხების მონიტორინგს გააგრძელებს.

ამასთან პოლიციამ და პროკურატურამ ზედმიწევნით უნდა გამოიძიონ ამომრჩეველთა შევიწროების, ხმების დათვლის პროცესის ხელის შეშლისა და ძალადობის შესაძლო ფაქტები. კანონის შესაბამისად დამნაშავეების დასჯა ხელს შეუწყობს 8 ოქტომბრის არჩევნების სანდოობის დაცვას და მომავალში საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობის გაზრდას. მოქალაქეებმა მოვლენების განვითარებას ყურადღებით უნდა მიადევნონ თვალი.

წინასაარჩევნო გარემო

დელეგაციის შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნების პროცესის სანდოობისთვის საჭირო კომპონენტები უმეტესწილად არსებობდა. ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის, პოლიტიკური პარტიის (გარდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა), დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომელთაც დელეგაცია შეხვდა, აღნიშნეს, რომ წინასაარჩევნო გარემო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით გაუმჯობესებულია. ეს შეფასება მუდმივად მეორდებოდა, რაც საარჩევნო პროცესების მიმართ გაზრდილი ნდობის მაჩვენებელია.

თავის მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარემო გაუარესდა და მაგალითად მოჰყავთ მათი წარმომადგენლების დაკავება, ძალადობისა და სროლების შემთხვევების დაუსჯელობა და არათანაბარი პირობები. ეს ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები, ნაწილობრივ, ორ მთავარ პარტიას შორის არსებული განსხვავებული პერსპექტივისა და გამოცდილების მაჩვენებელია. ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცალკეულ წევრებს შორის მიმდინარე დაპირისპირება პოლიტიკურ ატმოსფეროს ფიტავს და შედეგად პოლიტიკური დებატები მნიშვნელოვანი საკითხებიდან ამომრჩევლისთვის ნაკლებად საინტერესო თემებზე გადადის.

წინასაარჩევნო პერიოდში ოთხი მთავარი საკითხი გამოიკვეთა: ძალადობისა და დაშინების შემთხვევები, მათ შორის - უკანონო მიყურადება; საჩივრებსა და

დარღვევებზე მიუკერძოებელი და დროული რეაგირების და გადაწყვეტის მექანიზმებისადმი უნდობლობა; კამპანიის დაფინანსების კუთხით არსებული უთანასწორობა; და ადმინისტრაციული რესურსის არასათანადოდ გამოყენება. დელეგაციამ ასევე გამოყო რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საარჩევნო კანონმდებლობასთან და ადმინისტრაციასთან, პარტიების კამპანიებთან და ქალებისა და უმცირესობების არასათანადო წარმომადგენლობასთან. ამ საკითხებმა - მათი გადაუწყვეტელობის გამო - სავარაუდოდ, 8 ოქტომბრის საღამოს მდგომარეობის დაძაბვას შეუწყვეს ხელი.

საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო

2015 წელს და 2016 წლის დასაწყისში საარჩევნო კანონმდებლობაში რამდენიმე ცვლილება შევიდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილება და მაჟორიტარული მანდატის საარჩევნო ბარიერის 30-დან 50 პროცენტამდე გაზრდა იყო. აღნიშნული ცვლილებები გასულ არჩევნებზე დამკვირვებლების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე საპასუხოდ შემუშავდა და პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს. ოლქების საზღვრების ცვლილება ამომრჩევლების ხმათა გათანაბრებისკენ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა პარტიებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს საზღვრების ცვლილების პროცესის ზოგიერთი ასპექტის გამჭვირვალობასთან, მიუკერძოებლობასთან და ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებით. საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ყველაზე სადავო საკითხი შერეული საარჩევნო სისტემიდან მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ეხება - ეს საკითხი დიდი ხანია განხილვის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა საარჩევნო კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროებები განსაზღვრეს - რაც ახალი პარლამენტისთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს - დელეგაციამ დაადგინა, რომ საკმარისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობა არჩევნების სანდოობას არ გამორიცხავს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობამ ცესკოს კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მიმართ ნდობა გამოხატა. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს სამდონიანი ადმინისტრაცია, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისიის და 3 634 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. თითოეული კომისია შედგება 13 წევრისგან, რომელთაგან შვიდ წევრს პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ, ხოლო ექვსი პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრი აირჩევა ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ (ცესკოს შემთხვევაში - პარლამენტის მიერ). კითხვები გაჩნდა საოლქო და

საუბნო კომისიებში ზოგიერთი ახლადდანიშნული პროფესიული წევრის მიუკერძოებლობასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რომლებიც უპარტიოები უნდა იყვნენ, თუმცა უახლოეს წარსულში პარტიული როლი ჰქონდათ.

ასევე გაჩნდა კითხვები რიგი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით წევრების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასთან, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბევრმა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის შერჩევის პროცესი ზოგიერთ ოლქში ღია შერჩევის ნაცვლად წინასწარ შემუშავებული სიების მიხედვით განხორციელდა[1]. ერთი შეხედვით, აღნიშნული ინციდენტებით კანონი არ დარღვეულა, თუმცა კითხვები ჩნდება საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და ეს შესაძლოა, მათი საქმიანობის დისკრედიტაციისთვის იქნას გამოყენებული.

ამომრჩეველთათვის საკუთარი მონაცემების გადამოწმების გასამარტივებლად ცესკომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, მათ შორის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. საარჩევნო ადმინისტრაციამ და სხვა მხარეებმაც აღნიშნეს, რომ საქართველოს გარეთ მცხოვრები მოქალაქეების დიდი რაოდენობა კვლავ საქართველოშია რეგისტრირებული, რაც სიების დაზუსტებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ ამომრჩეველთა სიის მიმართ ნდობა წინა არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პოლიტიკური პარტიები

საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემა პლურალისტური და კონკურენტუნარიანია, რაც საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ არჩევნების შედეგები არჩევნების დღემდე არაპროგნოზირებადი იყო. ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის შიგნით წევრები ორ ბანაკად იყოფიან: ისინი, ვინც პოლიტიკას აღიქვამს ბრძოლად, სადაც მთავარი ამოცანა ოპონენტების განადგურებაა; და ისინი, ვისთვისაც პოლიტიკა იდეებისა და პროგრამების ჭიდილია, სადაც მთავარი აქცენტი მოქალაქეებზე (და არა - ოპონენტებზე) კეთდება. პარტიული სიები ამ დაყოფის კარგი მაგალითია: "ახალ სახეებთან" ერთად წარმოდგენილია შედარებით კონსერვატიული კანდიდატები; ხშირ შემთხვევაში არ გვხვდება თანმიმდევრული პოლიტიკური დღის წესრიგი, მიდგომები კამპანიისადმი და კონკრეტული პოზიციები პოლიტიკის ცალკეულ საკითხებზე. ამასთანავე ორ წამყვან პარტიას ჰყავს ქარიზმატული ყოფილი

[1] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 2016 წლის 8 ოქტომბრის წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის III შუალედური ანგარიში, 1 სექტემბერი, 2016 და "ISFED საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობას ეხმიანება," 21 აგვისტო, 2016.

ლიდერები, რომლებიც კვლავ ახდენენ გავლენას და, ზოგიერთ შემთხვევაში, წინააღმდეგობაში მოდიან პარტიების მთავარ გზავნილებთან. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ საკითხებზე და მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სტრატეგიის მქონე პარტიები დროთა განმავლობაში მეტ მხარდაჭერას მოიპოვებენ.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს ყველაზე მეტად სამუშაო ადგილები, სიღარიბე და ეკონომიკური მდგომარეობა აწუხებთ. რიგმა პარტიებმა დეტალური საარჩევნო პროგრამები შეიმუშავეს, თუმცა, ძირითადად, კამპანიის რიტორიკა პოლიტიკური პროგრამების ნაცვლად ოპონენტისგან მტრის ხატის შექმნაზე იყო ორიენტირებული. უფრო მეტიც: ზოგიერთი პარტიის კამპანია შეიცავდა სიძულვილის ენას თურქების, მუსულმანების და სექსუალური უმცირესობების მისამართით. ეროვნულ და რეგიონალურ არხებზე სატელევიზიო დებატები გაიმართა. რიგი მედია საშუალებებისა თანხმდება, რომ გასულ საარჩევნო კამპანიებთან შედარებით, პარტიებს საკუთარი პოზიციების დასაფიქსირებლად მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. სამწუხაროა, რომ პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარემ სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რამაც სხვა პარტიების ლიდერების მხრიდან მონაწილეობაზე უარის თქმა გამოიწვია. ამით ამომრჩეველმა მათ წინაშე არსებული არჩევანის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა დაკარგა.

ყველა პოლიტიკურმა პარტიამ კამპანიის პერიოდში ძალადობისა და დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად მზაობა გამოთქვა. საარჩევნო კამპანიის სტანდარტების დასადგენად მრავალპარტიული კოორდინაციის რამდენიმე მცდელობა დაფიქსირდა. ამა წლის ივნისში პარლამენტის წევრებმა ექვსი სხვადასხვა პარტიიდან კენჭისყრით მიიღეს ქცევის კოდექსი, რომელიც მოუწოდებს პარტიებს, დაიცვან კანონი, თავი შეიკავონ სიძულვილის ენის გამოყენების ან ძალადობის წაქეზებისგან, და ითანამშრომლონ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებთან. სექტემბერში, ქართული ოცნების ინიციატივით, ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვით ისინი ოპონენტი პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებისგან საკუთარი აქტივისტების დისტანცირებას უზრუნველყოფდნენ. სამწუხაროა, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ამ ძალისხმევაში მონაწილეობა არ მიიღო. დამატებით, 11-მა პარტიამ მონაწილეობა მიიღო იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ, ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ სარეკლამო კამპანიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივები კონკრეტულ ქმედებებში ყოველთვის არ გამოიხატებოდა, ასეთი ნაბიჯები მაინც მისასალმებელია.

ძალადობა და დაშინება

წინასაარჩევნო პერიოდი ძირითადად მშვიდ გარემოში წარიმართა. თუმცა

დელეგაციის თითქმის ყველა შეხვედრაზე ძალადობისა და დაშინების შესაძლებლობა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებად დასახელდა, რაც დაძაბულობის მაღალი დონის მაჩვენებელია. არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის: 4 ოქტომბერს, თბილისის ცენტრში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარლამენტის წევრის მანქანის აფეთქება; 2 ოქტომბერს მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის კამპანიის ღონისძიებაზე სროლა, რომლის დროსაც კანდიდატის გუნდის ორი წევრი დაშავდა; 1 ოქტომბერს სოფელ დიდინეძში მომხდარი დაპირისპირება, სადაც ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები დაშავდნენ; სოფელ კორცხელში, მაისის შუალედური არჩევნების მიმდინარეობისას, საარჩევნო უბანთან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებსა და აქტივისტებზე თავდასხმა. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისმა კომისიამ (უწყებათაშორისი კომისია) წინასაარჩევნო პერიოდში ცემის ფაქტებზე 26 საჩივარი მიიღო. სამართლიანმა არჩევნებმა, მიუკერძოებელმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ, 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე ძალადობის 12 შემთხვევა დააფიქსირა[2].

გასულ წელს და კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში პოლიტიკოსებზე, მედიის წარმომადგენლებსა და სხვა საჯარო ფიგურებზე უკანონოდ მოპოვებულმა ჩანაწერებმა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კლიმატს ზიანი მიაყენა. მაკომპრომატირებელი ფარული ჩანაწერების ინტერნეტში გავრცელებამ კანდიდატებისთვის, განსაკუთრებით კი - ქალი კანდიდატებისთვის, მტრული გარემო შექმნა. ოპოზიციის დისკრედიტაციის მიზნით, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ოპოზიციის ლიდერებსა და მხარდამჭერებს შორის სავარაუდოდ მომხდარი საუბრების არაერთი ჩანაწერის გავრცელებას, რომელთა ავთენტურობა ეჭვს იწვევს. სადამკვირვებლო ჯგუფებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, გამოიძიოს ეს შემთხვევები და უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მიიღოს[3].

სხვა მნიშვნელოვანი შემთხვევები მოიცავდა: კამპანიის ლიდერების დაკავებას და დაპატიმრებას, ოფისების დაზიანებას, სიტყვიერ შეურაცხყოფას და საჩივრებს ადგილობრივი ხელისუფლების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან დაშინების შემთხვევების შესახებ.

---

[2] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, "გახშირებული საარჩევნო დარღვევები ISFED-ის მეოთხე შუალედურ ანგარიშში", 3 ოქტომბერი, 2016; "ზეწოლა-მუქარის და წინასაარჩევნო კამპანიის ხელის შეშლის ფაქტები ISFED-ის მესამე ანგარიშში," 9 სექტემბერი, 2016; "ამომრჩეველთა მოსყიდვის და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები ISFED-ის II ანგარიშში", 23 აგვისტო, 2016 და "ზეწოლა-მუქარის, ძალადობის და ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები ISFED-ის I შუალედურ ანგარიშში", 25 ივლისი, 2016.

[3] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, "ეს შენ გეხება' მორიგი ფარული აუდიოჩანაწერის გავრცელების შესახებ",14 სექტემბერი, 2016

ნებისმიერი ტიპის დაშინება - თუნდაც ამგვარი საფრთხის აღქმა ან მოლოდინი - შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს საარჩევნო გარემოზე და ხელისუფლების მხრიდან სრულ რეაგირებას და ყველა ჩართული მხარის თანამშრომლობას საჭიროებს.

სამართალდამცავი ორგანოები და დარღვევებსა და საჩივრებზე რეაგირება

საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობაზე ნეგატიურად იმოქმედა აღქმამ, რომ კანონის აღსრულება და გადაწყვეტილების გამოტანა არათანმიმდევრულად ხდება. პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს შეშფოთება, რომ რიგ შემთხვევებში პოლიციის, პროკურატურის და სასამართლოს მიერ ძალაუფლების გადამატების ფაქტების აღკვეთის ან მათზე დროულად, მიუკერძოებლად და ეფექტურად რეაგირების მიმართ ნდობა ყოველთვის არ არსებობს. დელეგაციასთან არაერთხელ აღინიშნა მაისში, კორცხელში, კამპანიის დროს მომხდარ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ბრალდებულების გასამართლების პროცესის გაჭიანურება მაშინ, როცა, ერთი შეხედვით, შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ფაქტებზე გამოძიება სწრაფად წარიმართა და სასჯელიც მკაცრი იყო. ასევე დელეგაციასთან აღინიშნა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საკუთრების შესახებ სასამართლო დავის მიმდინარეობისას დაფიქსირებული დარღვევები. კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა აღნიშნულ საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულად აფასებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმეები საპარლამენტო არჩევნებთან პირდაპირ დაკავშირებული არ არის, მიმდინარე პროცესებზე ახდენს გავლენას. ამასთანავე, რამდენიმე ოპოზიციური პარტიის და არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით, არჩევნებთან დაკავშირებულ საჩივრებზე და დარღვევებზე გადაწყვეტილებების მიღება ჭიანურდება.

დელეგაციამ კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში განვითარებული პოზიტიური მოვლენებიც აღნიშნა. პარტიებმა დელეგაციას განუცხადეს, რომ დაგეგმილი აქტივობების შესახებ შესაბამისი მუნიციპალიტეტების ინფორმირების შემთხვევაში, სამართალდამცავები კამპანიის ღონისძიებებზე საქმიანობას ეფექტურად ახორციელებდნენ. უწყებათაშორისმა კომისიამ რეკომენდაციით მიმართა პარტიებს, თავი შეიკავონ ოპონენტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე გამოჩენისგან და ხელი არ შეუშალონ კამპანიის მასალების გავრცელებას. 2016 წლის 8 სექტემბერს შინაგან საქმეთა (შსს) მინისტრის N512 ბრძანების თანახმად, თითოეულ რეგიონში სხვადასხვა პოლიციის ძალების ტერიტორიულ დანაყოფებად დანაწილება მოხდა, რაც ხელს უწყობს კოორდინაციის გაუმჯობესებას და საშუალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, შესაძლო ძალადობრივ სიტუაციებზე მონიტორინგი აწარმოონ და რისკების შეფასება მოახდინონ. 20 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) და ცესკო შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომელიც კენჭისყრის უსაფრთხო და სამართლიან გარემოში ჩატარებას უზრუნველყოფს. პირველად საქართველოს ისტორიაში, შსს-მ და ცესკო-მ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის საარჩევნო უსაფრთხოების

საკითხებზე ტრენინგი ჩაატარეს.

კამპანიის დაფინანსება და ფულის როლი პოლიტიკაში

ყველა მთავრობის პირობებში ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან საკითხად ფულის როლი რჩება. დელეგაციასთან შეხვედრისას ბევრმა კამპანიაში ჩართული ფულის წარმოშობის, მასშტაბისა და ფორმების შესახებ კითხვები დასვა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიხედვით, სექტემბრის ჩათვლით ქართულმა ოცნებამ შემოწირულობების საერთო რაოდენობის (24.3 მილიონი ლარი) 66.3 პროცენტი (16.1 მილიონი ლარი) მიიღო. პარტიამ სახელმწიფო ხალხისთვის 4.8 მილიონი ლარი, პატრიოტთა ალიანსმა და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 1-1 მილიონი ლარი, თავისუფალმა დემოკრატებმა 421,690 ლარი. დამოუკიდებელმა კანდიდატებმა ჯამში, შემოწირულობების სახით, 1 მილიონი ლარი მიიღეს. ამასთან, 20 სექტემბრის მონაცემებით, ქართულმა ოცნებამ ყველა სხვა პარტიის დანახარჯების ჯამზე მეტი დახარჯა (ქართული ოცნების ხარჯები შეადგენს 13.4 მილიონ ლარს, ყველა სხვა პატრიის ხარჯი ჯამში შეადგენს 12 მილიონ ლარს). ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ზიანის შიშით, ბიზნეს კომპანიებს მათი საარჩევნო კამპანიის დაფინანსება არ სურთ. ამგვარი პირობები არათანაბარ გარემოს ქმნის და გრძელვადიან პერსპექტივაში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქმიანობას კარგად წარმართავს, მისი შეზღუდული მანდატის, მოკლე ვადების, მწირი რესურსების და სხვა სახელმწიფო ორგანოების ხელში არსებულ მტკიცებულებებზე წვდომის სირთულის მიუხედავად.

ადმინისტრაციული რესურსის არასათანადოდ გამოყენება

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნების მიხედვით, ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების მასშტაბი გასულ არჩევნებთან შედარებით შემცირებულია[4]. ივნისში, საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებისთანავე, ამოქმედდა სამართლებრივი და მარეგულირებელი შეზღუდვები ადმინისტრაციული რესურსების, საბიუჯეტო სახსრების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გამოყენებასა და თანამდებობის პირების მონაწილეობაზე. ეს რეგულაციები ასევე კრძალავს კამპანიის მიზნებისთვის სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში არსებული კომუნიკაციების, საინფორმაციო სერვისების ან აღჭურვილობის გამოყენებას. მიუხედავად ამისა, დელეგაციამ განაცხადა, რომ

[4] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში", 30 სექტემბერი, 2016

საკანონმდებლო ჩარჩო სახელმწიფოს, პარტიის და კამპანიის რესურსების უკეთ გამიჯვნას საჭიროებს. მათ შორის დასაზუსტებელია ხელისუფლების წარმომადგენლების და საჯარო მოხელეების მიერ კამპანიის წარმოების და კამპანიის პერიოდში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დანახარჯების პარამეტრები. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ დააფიქსირა - სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან - საჯარო მოხელეების ფართომასშტაბიანი მობილიზაცია ქართული ოცნების კამპანიის აქტივობებისთვის[5].

უწყებათაშორისი კომისია საჯარო მოხელეების მხრიდან საარჩევნო დარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით შეიქმნა. მონაწილეთა თანახმად, ეს სხდომები დაინტერესებულ მხარეებს შეკრებისა და ინფორმაციის გაზიარების საშუალებას აძლევდა. კამპანიის ბოლო დღეებში კომისიამ - გაითვალისწინა რა რეკომენდაციები - მისთვის წარდგენილი საქმეები და მათი სტატუსი გაასაჯაროვა, რაც მანამდე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო. თუმცა კომისიას არ გააჩნია მკაფიოდ გაწერილი პროცედურები და რეკომენდაციების აღსრულების უფლებამოსილება, რაც რიგი მონაწილეების უკმაყოფილებას იწვევს და მისი, როგორც ნდობის აღმდგენი მექანიზმის, როლს აკნინებს.

მედია გარემო

მედია გარემო საქართველოში თავისუფალი და მრავალფეროვანია, ამასთან უაღრესად პოლიტიზირებული. მოსახლეობის უმრავლესობა არჩევნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ტელევიზიის საშუალებით იღებს. ამომრჩევლებს ხელი მიუწვდებათ მრავალ სატელევიზიო არხზე, რომელიც ახალ ამბებს, პოლიტიკურ თოქ-შოუებს და დებატებს გადმოსცემს. ყველა პარტიას აქვს წვდომა ფასიან სატელევიზიო დროზე; ხოლო პარტიები, რომლებმაც წინა საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე 3 პროცენტიანი ზღვარი გადალახეს, ასევე უფასო დროით სარგებლობენ. ეს მიღწევები აღიარებას და დაცვას საჭიროებს. თუმცა, რუსთავი 2-ის საკუთრების გარშემო მიმდინარე სამართლებრივი დავა სასამართლო პროცესის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვებს ბადებს. ზოგიერთი მიუთითებს, რომ ეს პროცესები პოლიტიკურად მოტივირებულია და არხის სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. მედია გარემოზე მსგავსი პოლიტიკური ზეგავლენა - თუ სიმართლეს შეესაბამება - საქართველოსთვის უკან გადადგმული ნაბიჯია.

[5] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში", 30 სექტემბერი, 2016

გენდერული თანასწორობა

ქალები პოლიტიკის ყველა დონეზე, მათ შორის პარლამენტში, სათანადოდ წარმოდგენილნი არ არიან. ამჟამად 150 პარლამენტარიდან მხოლოდ 18 წევრია ქალი, რაც 12 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების საბოლოო შედეგები მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში არ იქნება ცნობილი, მათემატიკური გაანგარიშებით გენდერული ბალანსის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ნაკლებად მოსალოდნელია. პარტიებს და ბლოკებს, რომლებმაც პროპორციული სიის ყოველ ათეულში სამი განსხვავებული სქესის კანდიდატი მაინც წარადგინეს, არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, საშუალება ექნებათ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 30 პროცენტი დაფინანსება მიიღონ. აღნიშნული კრიტერიუმები 25 დარეგისტრირებული პარტიიდან და ბლოკიდან მხოლოდ შვიდმა დააკმაყოფილა: თავისუფალი დემოკრატები, პატრიოტთა ალიანსი, დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო, რესპუბლიკელები, ლეიბორისტული პარტია, მშრომელთა სოციალისტური პარტია და მემარცხენე ალიანსი. საერთო ჯამში, პროპორციული სიის კანდიდატებიდან ქალი მხოლოდ 37 პროცენტია, რომელთა დიდი ნაწილი პარტიული სიის ოცეულს მიღმაა. ეს კი მათ მიერ პარლამენტში მანდატების მოპოვების შესაძლებლობას ამცირებს. ამასთანავე მაჟორიტარი კანდიდატებიდან ქალი მხოლოდ 17 პროცენტია. შედარებისთვის, 2012 წლის არჩევნებში ქალები პროპორციული სიის 31 პროცენტს, ხოლო მაჟორიტარი კანდიდატების - 14 პროცენტს წარმოადგენდნენ.[6] ქალმა კანდიდატებმა და აქტივისტებმა NDI-სთან აღნიშნეს, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს შორის ქალთა რაოდენობა მცირეა. ის პარტიებიც კი, რომლებმაც შედარებით მეტი ქალი კანდიდატი წარადგინეს, მათთვის სპეციალურ მხარდაჭერა ან ტრენინგები არ უზრუნველყვეს.

ამომრჩევლებსა და დამკვირვებლებს შორის, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციაში ქალები დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, რაც მათი მხრიდან პოლიტიკურ პროცესებსა და არჩევნებში ჩართულობის მზადყოფნის მაჩვენებელია. თუმცა, პარტიების მსგავსად, ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საარჩევნო ადმინისტრაციის ზედა დონეებზე: ცესკოში მხოლოდ 23 პროცენტია ქალი, საოლქო საარჩევნო კომისიებში - 50 პროცენტი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში - 69 პროცენტი. უბნების დონეზე მაღალ პოზიციებზე მყოფი ქალები ძირითადად წარმოდგენილნი არიან კომისიის მდივნების სახით, ვიდრე თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის.

უმცირესობების ჩართულობა

ეთნიკური უმცირესობებიც ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ყველა დონეზე. ექვსი

[6] მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ NDI-ის ინფოგრაფიკა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალების მონაწილეობის შესახებ

მაჟორიტარული ოლქი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალს წარმოადგენს. ამ ოლქებში კანდიდატთა 66 პროცენტი ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, NDI-ის მონაცემებით, დანარჩენ ოლქებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ სამი კანდიდატია. პარტია "სახელმწიფო ხალხისთვის" ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფმა ეთნიკური უმცირესობის ერთადერთმა წარმოადგენელმა პარტია კამპანიის პერიოდში დატოვა.

ცესკოს ინფორმაციით, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანი ტრენინგები და ამომრჩევლის ინფორმირებისთვის გამიზნული ღონისძიებები ჩატარდა. ეს ნაბიჯები მისასალმებელია. საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობა ამ ოლქებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის პროპორციული არ იყო. ამ კუთხით უფრო მეტად დაბალანსებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. ცესკომ რიგი საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის ტრენინგები ჩაატარა და ეთნიკური უმცირესობების ენაზე მოამზადა მასალები, თუმცა განხორციელებული აქტივობები მოთხოვნის და არსებული საჭიროების შესაბამისი არ აღმოჩნდა.

რეკომენდაციები

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში და წინასაარჩევნო და არჩევნების დღის მონიტორინგზე დაყრდნობით, NDI-ის დელეგაცია შემდეგ რეკომენდაციებს წარმოადგენს:

მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურის ჩატარებამდე:

- პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა და აქტივისტებმა პატივი უნდა სცენ არჩევნების შედეგებს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს შედეგები აღიარებულია სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ, ხმების პარალელური დათვლის და არჩევნებზე მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით. ამასთან, მათ თავი უნდა აარიდონ სპეკულაციებს, რომელიც ეგზიტ პოლების ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს და ცალკეულ ინციდენტებს ეფუძნება;
- ცესკომ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება დარღვევებზე და ცალკეულ ოლქებში ხმის დათვლის პროცესის ხელის შეშლის ფაქტებზე და საჭიროებისამებრ გადაწყვიტოს განმეორებითი არჩევნების დანიშვნის შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ მაჟორიტარულ ოლქებში, სადაც ამან შესაძლოა, შედეგებზე მოახდინოს გავლენა;
- ცესკომ რეაგირება უნდა მოახდინოს ყველა ლეგიტიმურ საჩივარზე, ითანამშრომლოს ყველა მომჩივანთან და უზრუნველყოს მისი მუშაობის გამჭვირვალობა, რათა პროცესისადმი ნდობა გაიზარდოს;

- პარტიის ლიდერებმა აქტიურად უნდა დაგმონ ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება მათი მხარდამჭერების მხრიდან, ძალადობაში მონაწილე ინდივიდების მიმართ გამოიყენონ სანქციები და ითანამშრომლონ შესაბამის ორგანოებთან ინციდენტების გამოძიების მიზნით;
- პარტიებმა და კანდიდატებმა, რომლებსაც 8 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიები გააჩნიათ, უნდა მოახდინონ საჩივრების დოკუმენტირება და მათი შესაბამის ორგანოში წარდგენა, რათა საჩივრები მშვიდობიანად გადაწყდეს;
- იმ ადმინისტრაციულმა და სასამართლო ორგანოებმა, რომლებიც საარჩევნო საჩივრებს მიიღებენ, უნდა იმოქმედონ დროულად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად და ეფექტურად გადაწყვიტონ ისინი;
- დაძაბულობის განმუხტვისა და ძალადობის თავიდან აცილების მიზნით, შსს-მ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს არჩევნების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 512-ე ბრძანების ვადის გახანგრძლივება, რათა მან მოიცვას 10 ოქტომბრის შემდგომი პერიოდი და არჩევნების მეორე ტური, რომელიც ამ თვის ბოლოს გაიმართება;
- ცესკომ და შსს-მ სამართალდამცავებს უნდა ჩაუტაროს ტრენინგი საარჩევნო უსაფრთხოებაზე; პოლიცია მზად უნდა იყოს ძალადობის მაღალი რისკის შემცველ სიტუაციებში რეაგირებისა და დაძაბულობის განმუხტვისთვის;
- კანონდამრღვევების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა პროპორციულად, თანმიმდევრულად და სწრაფად უნდა განხორციელდეს, რათა ამას შემაკავებელი ეფექტი ჰქონდეს;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრები უნდა იყოს უფრო კონსტრუქციული და უნდა ხდებოდეს პერიოდული ანგარიშების მომზადება, მიღებული საჩივრების განხილვის სტატუსთან დაკავშირებით. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს პროცესებზე ხელის შეშლასა და ძალადობის შემთხვევებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმის არსებობის შესაძლებლობა;
- მაჟორიტარმა კანდიდატებმა, რომლებიც მეორე ტურში მიიღებენ მონაწილეობას, უნდა წარმოადგინონ საკუთარი ხედვა სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით; გამოიყენონ საჯარო დებატებში მონაწილეობის მიღების ყველა შესაძლებლობა; და თავი შეიკავონ ისეთი ქმედებისა და გამოსვლებისგან, რაც საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობას ზიანს მიაყენებს;
- საერთაშორისო დონორებმა ფინანსური დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ, მიუკერძოებელ ორგანიზაციებს, რომლებიც არჩევნების მონიტორინგს ახორციელებენ და საშუალება შეუქმნან, დააკვირდნენ არჩევნების მეორე ტურს;
- არჩევნებზე დამკვირვებლებმა უნდა გაითვალისწინონ ამომრჩევლის უფლებები და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების უფლებამოსილება და მაქსიმალურად შეეცადონ, არ ჩაერივნონ საარჩევნო პროცესებში;

- ცესკომ უნდა შეიმუშავოს არასამთავრობო ორგანიზაციების აკრედიტაციის კრიტერიუმი, რაც დამკვირვებლად დარეგისტრირების საშუალებას მისცემს საერთაშორისოდ აღიარებული სადამკვირვებლო პრინციპების შესაბამისად მოქმედ ყველა სანდო ჯგუფს, მაგრამ თავიდან აგვაცილებს საარჩევნო უბნების გადატვირთულობას და არაპროფესიონალიზმს;
- პარტიის ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ კამპანიასთან დაკავშირებული ფინანსური ტრანზაქციების გამჭვირვალობა და უარი თქვან იმ კერძო, კორპორაციული თუ საზღვარგარეთიდან შემოდინებული თანხების მიღებაზე, რომელიც საქართველოში კამპანიის დაფინანსების მოთხოვნებს არღვევს. მათ ასევე უნდა ითანამშრომლონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან;
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ჟურნალისტებმა და სახელმწიფო უწყებებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოახდინონ საარჩევნო კამპანიის დროს როგორც დეკლარირებული, ისე არადეკლარირებული თანხების მონიტორინგი.

მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნების მეორე ტურის შემდეგ:

- პოლიტიკურმა პარტიებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ქცევის წესების შემუშავებაში, რომელსაც ეთანხმება და აღიარებს ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა;
- პარლამენტმა უნდა განაახლოს ინკლუზიური და ღია პროცესი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კონსენსუსის მისაღწევად;
- სავალდებულო გენდერულ კვოტასთან დაკავშირებით არსებული მიმდინარე კანონპროექტი განხილული უნდა იქნეს და კენჭი ეყაროს პარლამენტში;
- პარლამენტმა უნდა განიხილოს დროებითი ან მუდმივი კომისიის შექმნა, რომელიც საარჩევნო საზღვრების დადგენაზე იმუშავებს;
- ცესკომ უნდა დააზუსტოს პროფესიული ნიშნით არჩეული საოლქო და საუბნო კომისიის წევრების კვალიფიკაციის მოთხოვნები და შერჩევის პროცედურები, მათ შორის შეიმუშავოს მიუკერძოებლობის სტანდარტები;
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მოიძიონ, მოამზადონ და ხელი შეუწყონ მეტ ქალს საპარლამენტო და მომდევნო არჩევნებში და განავითარონ პარტიის შიდა სტრუქტურა ისე, რომ მეტი ქალის ჩართულობა მოხდეს; პარტიებმა ქალებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების პარტიის პოლიტიკაში ინტეგრირება უნდა მოახდინონ.

დელეგაცია და მისი საქმიანობა

NDI-ს დელეგაცია, რომელიც 23 წევრისგან შედგება, თბილისში 4 ოქტომბერს ჩამოვიდა. დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს პოლიტიკურ ლიდერებთან, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან,

არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. 6 ოქტომბერს NDI-ს დამკვირვებლების ჯგუფები საქართველოს მასშტაბით 11 რეგიონში გაემგზავრნენ, სადაც ისინი შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების, საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს. არჩევნების დღეს NDI-ს სადამკვირვებლო ჯგუფები ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცესს დააკვირდნენ. დამკვირვებელთა ჯგუფები ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიწოდებას რეგულარულად ახორციელებდნენ, ხოლო არჩევნების დასრულების შემდეგ ისინი მონიტორინგის შედეგების გასაზიარებლად თბილისში დაბრუნდნენ.

დელეგაცია ეყრდნობა წინასაარჩევნო გარემოს შეფასებას, რომლის ანგარიში და რეკომენდაციები 2016 წლის ივნისში შემუშავდა. ასევე დელეგაცია ეყრდნობა სამი გრძელვადიანი ანალიტიკოსისგან შემდგარი ჯგუფის მიერ გაწეულ საქმიანობას, რომლებმაც ა.წ. აგვისტოდან მოინახულეს დაახლოებით 60 ოლქი და ჩაატარეს 350-ზე მეტი შეხვედრა ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან, არასამთავრობო ორანიზაციების, მედიის, საერთაშორისო და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან. ჯგუფი ასევე დააკვირდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა ტრენინგებს და ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებს. გრძელვადიანი სადამკვირვებლო ჯგუფი არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობაზე დაკვირვებას გააგრძელებს.

დელეგაცია საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის და არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად ახორციელებდა. დეკლარაცია აღიარებულია 52 მთავრობათაშორისი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს მასშტაბით.

NDI მადლობას უხდის ორგანიზაციას ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსთან (Sida) ერთად, მხარს უჭერს NDI-ის დემოკრატიის გაძლიერების პროგრამებს საქართველოში. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, NDI მხარს უჭერს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) სადამკვირვებლო საქმიანობას.

NDI-ის დელეგაციემ კონსულტაციები გამართა სხვა საერთაშორისო დელეგაციებთან, მათ შორის საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (IRI) და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო), ასევე

საქართველოში არსებულ მიუკერძოებელ საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა სამართლიანი არჩევნები (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთო სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველო (PMMG).

დელეგაცია მადლობას უხდის ამომრჩევლებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, კანდიდატებს, პოლიტიკური პატრიების ლიდერებს, ადგილობრივ დამკვირვებლებს და სხვა სამოქალაქო აქტივისტებს თანამშრობლობისთვის.

NDI-ის დელეგაციის წევრები

რობინ კარნახანი, აშშ
პერ ეკლუნდი, შვედეთი
სემ გეჯდენსონი, აშშ
ლორა ჯუიტი, აშშ
ედვარდ ი. კაუფმანი, აშშ
ქეთრინ ფინანი, კანადა
დენიელ ნევილი, ირლანდია
ანემი ნეიტს-უტებროკი, ბელგია
იანუშ ონიშკევიჩი, პოლონეთი
ფლორინ პონარუ, რუმინეთი
ნინა რობინსი, აშშ
ნატაშა როთჩაილდი, აშშ
მარგო სქუერი, აშშ
დრიტან ტაულა, ალბანეთი
ლორა თორნტონი, აშშ
კრისტინა ვაიჩიუნაიტე, ლიტვა
გრეის კენან უარნეკი, აშშ
ჯასტინ უეინი, აშშ
როს უილსონი, აშშ
კასპერ ვაუთე, ნიდერლანდები
ზევ იაროსლავსკი, აშშ
შალანდა იანგი, აშშ
დრაგან ზელიჩი, ხორვატია

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისთვის მსოფლიოში. NDI-ს მსოფლიოს ყველა რეგიონში 200-ზე მეტი არჩევნების სადამკვირვებლო მისია აქვს განხორციელებული, მათ შორის არაერთი შეფასება საქართველოში 1992 წლიდან.

NDI-ს საკონტაქტო ინფორმაცია

ლორა ჯუიტი, ევრაზიის პროგრამების დირექტორი, +1-202-758-7960

ლორა თორნტონი, NDI- საქართველოს ოფისის დირექტორი, +995-599-566852